giz Regional Office South Caucasus

GIZ Regional Office South Caucasus
31a Griboedov Str./ 42 Rustaveli Ave.
0108 Tbilisi, Georgien
T +995 32 2201800
F +995 32 2201801

Ihr Zeichen
Unser Zeichen

9 October 2017

Deutsche Gesellschaft für
Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

Sitz der Gesellschaft Bonn und Eschborn

Friedrich-Ebert-Allee 36 + 40
53113 Bonn, Deutschland
T +49 228 44 60-0
F +49 228 44 60-17 66

Dag-Hammarskjöld-Weg 1 - 5
65760 Eschborn, Deutschland
T +49 61 96 79-0
F +49 61 96 79-11 15

E info@giz.de
I www.giz.de

Amtsgericht Bonn
Eintragungs-Nr. HRB 18384
Amtsgericht Frankfurt am Main
Eintragungs-Nr. HRB 12394

Vorsitzender des Aufsichtsrats
Staatssekretär Dr. Friedrich Kitschelt

Vorstand
Tanja Gönner (Vorstandssprecherin)
Dr. Christoph Beier (Stellv. Vorstandssprecher)
Dr. Hans-Joachim Preuß
Cornelia Richter

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
ინგოროყვას ქ.7, თბილისი 0114, საქართველო

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას

ქალაქ ბერლინში (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) საინფორმაციო ხასიათის ვიზიტის შესახებ

ვიზიტის თემა: გერმანულ-ქართული დიალოგი დღის წესრიგი 2030 იმპლემენტაციის მიზნით სტრუქტურების მდგრადობის შესახებ

მოგესალმებით,

გაცნობოთ, რომ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამის **„ევროპულ სტანდარტებთან სამხრეთ კავკასიის სამართლებრივი დაახლოება“** ფარგლებში, მიმდინარე წლის **5-11 ნოემბერს** (მათ შორის მგზავრობის დღეები) გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დედაქალაქ ბერლინში დაგეგმილია საინფორმაციო ვიზიტი. ვიზიტი მიზნად ისახავს გერმანია-საქართველოს შორის მდგრადი განვითარების ხელშესაწყობად შესაბამისი ინსტიტუციური სტრუქტურებისა და ზოგადი სისტემის შესახებ მიღებული გამოცდილებისა და მიდგომების თაობაზე დიალოგის გაღრმავებას.

საინფორმაციო ვიზიტის ფარგლებში, მონაწილეებს ექნებათ შესაძლებლობა გაეცნონ გერმანიის მთავრობის ადმინისტრაციის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების სამინისტროს, გერმანიის ფედერალური სტატისტიკის სამსახურისა და გერმანიის მდგრადი განვითარების საბჭოს საქმიანობას. ამასთან, შეხვედრების ორგანიზების მიზნით, მოლაპარაკებები მიმდინარეობს სხვა მნიშნელოვან სახელმწიფო ინსტიტუტებთან.

საინფორმაციო ვიზიტი სამართლის პროგრამის ახალი კომპონენტის - დღის წესრიგი 2030 ხელშეწყობით ხორციელდება, რომლის ძირითადი მიზანია, როგორც დღის წესრიგი 2030 მოთხოვნების, ისე პოლიტიკის განხორციელების პროცესში რეგულირების ზეგავლენის შეფასების მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ზრდა და წინასწარ შერჩეულ სფეროებში, დღის წესრიგი 2030 მოთხოვნების გათვალისწინებით, რეგულირების ზეგავლენის შეფასების განხორციელება.

საქართველოს დელეგაცია ბერლინში 2017 წლის 5 ნოემბერს გაემგზავრება, საქართველოში კი 11 ნოემბერს დაბრუნდება.

აქვე გაცნობებთ, რომ GIZ-ი სრულად დაფარავს მონაწილეთა საერთაშორისო/ადგილობრივი მგზავრობის, სასტუმროსა და კვებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

პატივისცემით,

ზინა ჰერსი
GIZ-ის სამართლის პროგრამის კომპონენტის - დღის წესრიგის 2030 ხელმძღვანელი